



# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი: 031.31211531

თარიღი: 02/06/2021

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ოქმი N 7

ქ. ლანჩხუთი

28. 05. 2021 წელი

**საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-ახალი ძალა თვითმმართველობის განვითარებისათვის“ თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთის განვითარებისთვის“ თავმჯდომარე ლელა ჩახვაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის სპეციალისტი ცირა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის სპეციალისტი გურამ ბოლქვაძე.

**მოწვეული სტუმრები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მედია.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის

თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

### 3. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებია**მ. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმაში არსებული უძრავი ქონების - (ს/კ 27.06.51.334); (ს/კ 27.03.43.075); (ს/კ 27.01.43.002); (ს/კ 27.06.52.630); (ს/კ 27.06.51.082); (ს/კ 27.15.52.559); (ს/კ 27.02.41.164); (ს/კ 27.02.41.224); (ს/კ 27.02.42.152); (ს/კ 27.02.42.104); (ს/კ 27.02.42.107); (ს/კ 27.02.42.105) პრივატიზება, რაც ქმნის იმის საფუძველს, რომ აღნიშნული ქონება ამოღებულ იქნეს საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან და პრივატიზაციის გეგმიდან. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა, რომ მუნიციპალიტეტის მიზნებიდან გამომდინარე, საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან და პრივატიზაციის გეგმიდან ასევე ამოღებულ იქნეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება (ს/კ 27.06.51.005.01.531); (ს/კ 27.15.52.037); (ს/კ 27.09.50.282); (ს/კ 27.06.52.610); (ს/კ 27.06.51.005.01.205); (ს/კ 27.06.51.005.01.208); (ს/კ 27.06.51.005.01.210); (ს/კ 27.06.51.005.01.211); (ს/კ 27.06.51.005.01.213); (ს/კ 27.06.51.005.01.214); (ს/კ 27.06.51.005.01.215). მან იქვე დასძინა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N 27 (28.05.2021)**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N39 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) ვებგვერდი, 27/12/2017; სარეგისტრაციო კოდი 010260020.35.112.016321) უნდა შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების: ა) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 4.

საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილება საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდის ადმინისტრირებას, რაც გულისხმობს:

ა.ა) ვებგვერდის დიზაინის მომზადებას და მასში ცვლილებების შეტანას;

ა.ბ) ვებგვერდის ფუნქციონირების ტექნიკურ გამართულობას;

ა.გ) ინფორმაციის განთავსებას; ა.დ) ვებგვერდზე შემოსული წინადადებების და წერილების სისტემატიზაციას და მერისთვის და საკრებულოს თავმჯდომარისთვის გადაცემას;

ა.ე) ვებგვერდის პროგრამულ ფუნქციონირებას, მათ შორის. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის დაცვას არასანქცირებული ჩარევისაგან, ინფორმაციის შეცვლის, გაყალბების, დამახინჯების, წაშლის და დაბლოკვისაგან.

2. ბ) მერისა და მერიის თანამდებობის პირების პრესკონფერენციების ჩატარების ორგანიზებას, მათ ურთიერთობას მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან, მერიის საქმიანობის შესახებ ყოველთვიური პრესდაიჯესტის მომზადებასა და გამოქვეყნებას;

გ) მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის ფუნქციონირებას, „მათ შორის, სოციალური ქსელის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის facebook გვერდის მართვას, ინფორმაციის განთავსებას და დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას;

დ) მერიის სამსახურებისათვის საჭირო ინფორმაციის მოძიებასა და სელექციას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საზოგადოებისთვის ვებგვერდის მეშვეობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და პერსონალის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;

ვ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიმდინარე საქმიანობის შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებთან პრესკონფერენციების, ბრიფინგების, შეხვედრებისა და ინტერვიუების ორგანიზებას და მოწყობას;

ზ) პრესრელიზების, სტატიების მომზადებას და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში განთავსებას, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებპორტალის თემატურ გაძღოლას, აგრეთვე აუდიო-, ვიდეო- და ფოტომომსახურების უზრუნველყოფას;

თ) საინფორმაციო ბიულეტენებისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მუშაობის სხვა ბეჭდვითი პროდუქციის გამოსაცემად მომზადებას;

ი) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული განცხადებებისა და საინფორმაციო ხასიათის სხვა მასალების მომზადებასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებას. ასევე, საინფორმაციო სააგენტოებისათვის ფოტო მასალისა და ინფორმაციის მომზადებას და გაგზავნას;

კ) მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას“.

ბ) მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 5.

მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილება მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) მუნიციპალიტეტში შემოსული და ადგილზე შექმნილი დოკუმენტების აღრიცხვას;

ბ) მუნიციპალიტეტში შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციასა და ინდექსაციას;

გ) მოქალაქეთა მისაღების მეშვეობით „ერთი ფანჯრის“ პრინციპის დაცვით მოქალაქეთა საინფორმაციო მომსახურებას;

დ) საჭიროების შემთხვევაში დოკუმენტების გადაცემას შემსრულებლისათვის;

3 ე) დოკუმენტების შესრულების კონტროლს და შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადებას;

ვ) დოკუმენტების გაგზავნას;

ზ) საქმეთა მომზადებას არქივისათვის ჩასაბარებლად;

თ) საქმეთა ნომენკლატურის შედგენას;

ი) ადმინისტრაციული წარმოების წესებისა და პროცედურების დაცვას;

კ) თვითმმართველობის მოსამსახურეთათვის საქმისწარმოების წესის გაცნობას და კონტროლს მათ დაცვაზე;

ლ) მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.  
მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.  
მიღებულ იქნა განკარგულება N 28 (28.05.2021)**

**სხვადასხვა საკითხები:**

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პრივატიზაციის შედეგად აცანის ადმინისტრაციული ერთეულიდან შემოვიდა 273 000 ლარი. მისი თხოვნაა, რომ ამ თანხის ნაწილი მოხმარდეს აცანის ადმინისტრაციულ ერთეულს გარკვეული პრობლემების მოსაგვარებლად. დეპუტატი ასევე დაინტერესდა, თუ რა სახსრებით ხდება ლანჩხუთის ცენტრში მდებარე შენობის ფასადის და სკვერის მოწესრიგება, რადგან ტერიტორიულ ერთეულებშიც მოსაწესრიგებელია ადმინისტრაციული შენობების ფასადები და სკვერები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ქალაქის ცენტრალური ნაწილის მოწესრიგება ხდება ურბანული განვითარების პროექტის ფარგლებში და ეს არის მასშტაბური პროექტი, რომელიც არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული ერთეულებისთვის თანხების განაწილებას.

საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთის განვითარებისთვის“ თავმჯდომარემ **ლელა ჩხავაძემ** აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ წინა წელს ითხოვა ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში ერთი კილომეტრის მანძილზე წყლის მილის გამოცვლა, რადგან არსებული მილით ვერ ხერხდება მოსახლეობის სრულად დაკმაყოფილება, რაზეც მუნიციპალიტეტის მერის მხრიდან მიიღო თანხმობა, მაგრამ ეს პრობლემა დღემდე მოუგვარებელია. ასევე, ითხოვა ურნის დადგმა სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე, რაზეც მიიღო უარი იმ მიზეზით, რომ ნაგავმზიდი მანქანა გზის მოუწესრიგებლობის გამო ვერ შედის ყველა შესახვევში.

ამის შემდეგ, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთის განვითარებისთვის“ თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ათი დღის განმავლობაში ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში ელექტრო ენერჯის მიწოდება სხვადასხვა დროით შეწყდა შვიდჯერ, რასაც დაეთანხმა საკრებულოს წევრი **დავით ჩხარტიშვილიც**. დეპუტატი ასევე დაინტერესდა, თუ რა ხდება ნინოშვილი-მაღალი ჯუმათის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. აგრეთვე ითხოვა, რომ როგორმე დროულად დაეხმარონ ნინოშვილი-გულიანის საზღვართან, მეწყერულ ზონაში მცხოვრებ მოსახლეობას, რადგან დროთა განმავლობაში პრობლემის მოგვარებას მეტი რესურსი დასჭირდება, რაც უფრო დიდი სირთულეებთან იქნება დაკავშირებული.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ელექტრო ენერჯის მიწოდების უზრუნველყოფა არის ენერგო პრო ჯორჯიას პრეროგატივა და ისინი არიან ამ პრობლემებზე პასუხისმგებლები. მას შეუძლია მოიწვიოს ამ კომპანიის წარმომადგენლები და დაუსვას შესაბამისი კითხვები. რაც შეეხება წყლის მილებს, გამოცვლა დაწყებულია, მაგრამ მილების რაოდენობა არ აღმოჩნდა საკმარისი, დასამატებელია 30 მეტრი, რაზეც მერისგან მიიღეს თანხმობა. ხოლო ნაგვის ურნასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ , თითქმის ყველა სოფელი გადადის საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის დაქვემდებარებაში, რაც

იმას ნიშნავს, რომ კვირაში ერთხელ ყველა სოფელში შევა ნაგვმზიდი მანქანა და გაიტანს ნარჩენებს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა ასევე აღნიშნა, რომ მოინახულა ნინოშვილი-მაღალი ჯუმათის დამაკავშირებელი გზის დაზიანებული მონაკვეთი. მისი განმარტებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტექნიკით შეუძლებელია ამ პრობლემის მოგვარება და ამ ეტაპზე მიდის სამუშაოები ტექნიკის მოძიებასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტის მერმა პირადად არაერთხელ მიმართა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, ასევე საავტომობილო გზების დეპარტამენტს მეწყერულ ზონაში მცხოვრები მოსახლეობის პრობლემების მოსაგვარებლად. მისი თქმით, დაზარალებულმა მოქალაქეებმა წერილობით უნდა მიმართონ ადგილობრივ ინფრასტრუქტურის სამსახურს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და საგზაო დეპარტამენტს, რის შემდეგაც ერთიანი ძალებით უნდა მოხდეს ადგილის კარგად შესწავლა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა.

საკრებულოს წევრმა **იოსებ ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ აუცილებელია დაიწყოს ქალაქ ლანჩხუთის შიდა გზების წერტილოვანი შეკეთება, რაც არ არის დაკავშირებული დიდ თანხებთან.

საკრებულოს წევრმა **ამირან გვიგინიშვილმა** აღნიშნა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციამ „სასოფლო დარბაზი“ და „ქუთაისელ მეცნიერთა ცენტრმა“ ევროკავშირში გააგზავნეს გარემოს დაცვის შესახებ პროექტის მოკლე შინაარსი, რომელმაც გაიმარჯვა და ახლა შეიტანენ სრულ განაცხადს.

საკრებულოს წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ჩაერთვება მოსახლეობის ვაქცინაციის პროცესის ორგანიზებაში. ამის შემდეგ დეპუტატმა დააყენა შემდეგი საკითხები: მაწანწალა ძაღლების პრობლემა, სოფელ ლესაში შიდა გზების რეაბილიტაცია და ცერებრალური დამბლის მქონე ლუკა იმნაძისთვის ეტლის შეძენა.

დასასრულს საკრებულოს წევრმა მადლობა გადაუხადა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას საქრო შაინიძისთვის საცხოვრებელი სახლის შეძენის გამო.

საკრებულოს წევრმა **ციცინო ჩხაიძემ** მოსახლეობის სახელით მოითხოვა აგარაკის სასაფლაოს ტერიტორიის მიმდებარედ საზოგადოებრივი საპირფარეოს გაკეთება.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ** აღნიშნა, რომ ლანჩხუთში ძალიან დაზიანებულია შიდა გზები. გარდა ამისა, 19 მაისის სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა ითხოვს დახმარებას სახლების გადახურვასთან დაკავშირებით. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ გვარჯალაძის ქუჩის N 21-ში მდებარე კორპუსის მაცხოვრებლები ითხოვენ ეზოს მოწესრიგებას, რადგან წვიმის დროს დროს იტბორება, წყლის ნაკადი ჩაედინება კორპუსის სარდაფში და აზიანებს საძირკველს. ასევე თბილისის ქუჩის N 17-ში მდებარე კორპუსის მაცხოვრებლები ითხოვენ სახურავის გაკეთებას, რადგან ბოლო სართულზე მცხოვრებ ოჯახებს წვიმის დროს დაზიანებული სახურავიდან წყალი ჩასდის, რასაც დაეთანხმა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე **სპარტაკ კვაჭაძე**, რომელმაც იქვე დასძინა, რომ მოსაწესრიგებელია თბილისის ქუჩა N 17-ში მდებარე ბინის ეზოც, რადგან უხვი ნალექის დროს იტბორება და ფაქტიურად გადაადგილება შეუძლებელია.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ჩიბათის საჯარო სკოლას არ აქვს არც სპორტული დარბაზი და არც ღია მოედანი, რის გამოც ფიზიკური მომზადების გაკვეთილები ტარდება საკლასო ოთახში. მან მუნიციპალიტეტის მერს თხოვა დახმარებოდა ამ პრობლემის მოგვარებაში. დეპუტატმა ასევე ითხოვა დახმარება ჩიბათში ხელოვნურსაფარიანი მოედნის გაკეთებაში, რომელიც დაწყებულია ხუთი წლის წინ, დახარჯულია 20 000 ათასი ლარი და კიდევ ესაჭიროება 30 000 ათასი ლარი დასასრულებლად.

საკრებულოს წევრი **რევაზ კვერენჩილაძე** დაინტერესდა, ხომ არ შეუშალა ხელი პანდემიამ ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში გაზიფიცირების საკითხს და როდის დაიწყება იგი.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარემ **გოგი მორჩილაძემ** აღნიშნა, რომ აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსაწესრიგებელია ინფრასტრუქტურა და შიდა გზები, ასევე ცენტრალური გზაც.

საკრებულოს წევრმა **კახაბერ ასკურავამ** უკმაყოფილება გამოთქვა შემდეგი ფაქტების გამო:

სახანძრო-სამაშველო სამსახურის კუთვნილებაში არსებული ტექნიკა გამოსულია მწყობრიდან, რის გამოც სოფელ გრიგოლეთში ვერ მოხერხდა ხანძრის დროულად ლიკვიდაცია, შედეგად სრულად დაიწვა ორი შენობა და ერთი ნაწილობრივ, რასაც დაეთანხმა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-ახალი ძალა თვითმმართველობის განვითარებისათვის“ თავმჯდომარე **ზაზა წულაძე**.

მოსაწესრიგებელია ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში სტრატეგიული მნიშვნელობის გზა. ასევე, აკეთის ადმინისტრაციული ერთეულის ლანჩხუთთან დამაკავშირებელი გზა.

საკრებულოს წევრის აზრით, კოვიდ ვირუსის და ვანქცინაციის აუცილებლობის შესახებ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ადვილობრივი პრესის საშუალებით მოსახლეობას სისტემატიურად უნდა აწვდიდეს შესაბამის ინფორმაციას.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ დეპუტატების მიერ მიწოდებული სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სია, გადაცემულია შესაბამისი სამსახურისთვის და გამოიყოფა გარკვეული თანხა, მაგრამ ზუსტი რაოდენობა ჯერჯერობით უცნობია.

ბოლო სამი წლის განმავლობაში გადახურულია დაახლოებით ათი ბინა. ახლაც გამზადებულია პროექტი ორი კორპუსის გადასახურად და ეტაპობრივად მოგვარდება ეს პრობლემა. მან ასევე განმარტა, რომ ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში დარჩენილია ოთხი სოფელი გაზიფიცირების პროექტირების გარეშე, რომელიც მალე დასრულდება და წელსვე დაიწყება შესაბამისი სამუშაოები. ამის შემდეგ მუნიციპალიტეტის მერმა ასევე აღნიშნა, რომ აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ახლახან დასრულდა გაზიფიცირება. ასევე, გამოცხადებულია ტენდერი და გაკეთდება სრული წყალმომარაგება, ხოლო ცენტრალური გზის 14 კილომეტრიანი მონაკვეთის გაკეთება მუნიციპალიტეტის სახსრებით შეუძლებელია. მან იქვე დასძინა, რომ 26 მაისს გურიის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულთან ერთად, იმყოფებოდა აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობასთან შეხვედრაზე და სახელმწიფოს დახმარებით აუცილებლად, ეტაპობრივად დაიწყება იქ წამოჭრილი პრობლემების მოგვარება. მან ასევე აღნიშნა, რომ ჩიბათში მშენებარე ხელოვნურსაფარიანი მოედინის დასრულება შესაძლებელია სოფლის პროგრამის ფარგლებში.

მუნიციპალიტეტის მერის თქმით, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ნამდვილად მუშაობს გამართულად, ვაქცინაციასთან დაკავშირებით მოსახლეობა ინფორმირებულია როგორც სოციალური ქსელებით, ასევე ტელევიზიის საშუალებით, რასაც დაეთანხმა საკრებულოს წევრი **რევაზ კვერენჩილაძე** და აღნიშნა, რომ ზემოხსენებული ა(ა)იპი მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი წამყვანი სამსახურია და მისი ხელმძღვანელი ჯეროვნად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

### **ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

